ოქმი:**ო37.37210322**

თარიღი:**01/02/2021**

ოქმი #1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

2021წელი, 28 იანვარი

ქ. ოზურგეთი

14.00 – 15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ. ღურჯუმელიძე, გ. ჩავლეშვილი, გ. თოიძე, ბ. დოლიძე, ლ. ბიგვავა, გ. ჩაგანავა, ლ. მგელაძე, გ. კილაძე, ბ. ქათამაძე, დ. ჭაკნელიძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 11, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ლავრენტი ბიგვავა

ლაშა თავაძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრის მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის და გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენის წესისა და წარსადგენი ანგარიშის ფორმების საკითხის სრულყოფის მიზანშეწონილობის შესახებ“ - საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის სარეკომენდაციო წერილის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

გ. ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს დადგენილებაში შედის ცვლილებები, პროექტი განსახილველად დაეწერება საკრებულოს დარგობრივ კომისიას, შესაბამისი ცვლილებებია შესატანი საკრებულოს რეგლამენტშიც, ამიტომ უნდა მოხდეს საკითხის ერთობლივი განხილვა და შეჯერება.

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების შესრულების წლიური ანგარიშის სტანდარტული ფორმებისა და მათი წარდგენის ვადის დამტკიცების მიზანშეწონილობის შესახებ“ - საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის სარეკომენდაციო წერილის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ წლების შედეგების შედარების მიზნით აუცილებელია ანგარიშების ერთიანი ფორმით წარმოდგენა, საკითხი განსახილველად დაეწერება საკრებულოს დარგობრივ კომისიას.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ჩაგანავა

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლელა საჯაია

7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

საკითხი განსახილველად დაეწერა საკრებულოს დარგობრივ კომისიას(ე.გორდელაძე).

8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

საკითხი განსახილველად დაეწერა საკრებულოს დარგობრივ კომისიას (ე. გორდელაძე).

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე

11. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული N1 და 11 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

2. N2,3,7,8 საკითხები განსახილველად და დასკვნების წარმოსადგენად დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიას (ე.გორდელაძე).

3. დამტკიცდეს საკრებულოს მუდმივ მოქმედ კომისიათა 2021 წლის სამუშაო გეგმები.

3.საკრებულოს სხდომა გაიმართოს მიმდინარე წლის 29 იანვარს, 12.00- საათზე ოზურგეთის ფოლკლორული ცენტრის დარბაზში.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი